



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის
სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების
შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
საქართველო

წევრები:

ლარისა პატარაია, კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „Start – Business Solutions“,
საქართველო

თბილისი
2021

¹ შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
ძირითადი მისამართი (ქუჩა, №, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	რუსთაველის ქ. №53, ბათუმი, 6010, საქართველო
ვებ-გვერდი	https://bsma.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	01.09.2018 წ. №58
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	01.09.2024

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები²

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	16
ბაკალავრიატი	10
მაგისტრატურა	5
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	11
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ³	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა			
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			

² იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

³ იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	-
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	69
- პროფესორი	15
- ასოცირებული პროფესორი	41
- ასისტენტ პროფესორი	8
- ასისტენტი	5
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	66
- აფილირებული პროფესორი	15
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	39
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	7
- აფილირებული ასისტენტი	5
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	36
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი: 2020 წლის 8 ოქტომბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვრა 60 დღიანი ვადა. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 7 დეკემბერს შემოსული წერილის №05/3203 (ცენტრში რეგისტრაციის №1163084) საფუძველზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 8 ოქტომბრის №965919 სხდომის ოქმში ასახული გარემოებების შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2020 წლის 10 დეკემბრის ბრძანების MES 8 20 0001182117 თანახმად, შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი და მითითებულ ვადებში განხორციელდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტთათვის მიწოდებული მასალების გაცნობის შემდეგ დადგა ინტერვიუების საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები უნივერსიტეტიდან, რომელთა მიწოდება მოხდა დროულად. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით, წარმოდგენილ იქნა დასკვნა.	
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: ____08.10.2020_____	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
უზრუნველყავით ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა ეფექტიანად და	რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად - შეცვლილია ორგანიზაციული სტრუქტურა,

კოორდინირებულად განახორციელოს საკუთარი ფუნქციები.	თუმცა ახალ სტრუქტურასაც აქვს ნაკლოვანებები;
უზრუნველყავით ყველა საკითხთან დაკავშირებით მართვის ორგანოებში დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება.	რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად - შემუშავებულია რეპორტირების ახალი მექანიზმები, თუმცა კონტროლის მექანიზმების დიდი მოცულობით შემოტანა ქმნის ახალ პრობლემას და აფერხებს საწარმო პროცესს.
ჩამოაყალიბეთ თანამდებობრივი ინსტრუქციები ნათლად და უზრუნველყავით მათი პერსონალისთვის გაცნობა.	რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად - თუმცა ახალი სტრუქტურული ერთეულისთვის ორგანიზაციული დიზაინის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის განსაზღვრული.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი.	რეკომენდაცია შესრულებულია
შემუშავებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის შესამოწმებლად იქნება დროული და ეფექტური.	რეკომენდაცია შესრულებულია
თანამდებობრივ ინსტრუქციებს მიეთითოს დამტკიცების თარიღი.	რეკომენდაცია შესრულებულია
შემუშავებულ იქნას ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები პარტნიორ, ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელთან ერთად.	რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. აკრედიტებულია ერთი პროგრამა პარტნიორ, ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელთან თანამშრომლობით და მიმდინარეობს მუშაობა ორმაგი ხარისხის სხვა პროგრამებზე.
შესრულების ვადები იქნას სწორად გაწერილი.	რეკომენდაცია შესრულებულია
მოხდეს აკადემიის მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის სისტემის განვითარება.	რეკომენდაცია შესრულებულია
განხორციელდეს სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზი მათი ეფექტურობის დადგენის მიზნით.	რეკომენდაცია შესრულებულია
შემუშავდეს უნივერსიტეტში მეცადინეობის ჩატარების მონიტორინგის სპეციალური პროცედურები.	რეკომენდაცია შესრულებულია
მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობების დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად.	რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილი უკვე განიხილულია, თუმცა კვლავ დგას განსახილველად საზღვაო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს ყოფილი

	ხელმძღვანელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის საკითხი.
სისტემურად ხდებოდეს სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე.	რეკომენდაცია შესრულებულია
პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების პროცედურები იყოს გამჭვირვალე.	რეკომენდაცია შესრულებულია
შემუშავებულ იქნას ღია და გამჭვირვალე მექანიზმი პერსონალისა და სტუდენტების კონფერენციაზე გასაშვებად.	რეკომენდაცია შესრულებულია
შემუშავებულ იქნას გამჭვირვალე მექანიზმი აკადემიური თავისუფლების პრინციპების დასაცავად უნივერსიტეტში.	რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ საკითხებს შეიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტი, თუმცა უფრო მეტად გამჭვირვალე მექანიზმის არსებობაა საჭირო ამ მიმართულებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- გაიმართოს ორგანიზაციული სტრუქტურა და გადაიხედოს ორგანიზაციული სტრუქტურის გენერალური მოდელი;
- გადაიხედოს რექტორის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი ფუნქციონალური და სტრუქტურული ერთეულები და საჭიროების შემთხვევაში დაემატოს ახალი საკურატორო მიმართულება, რომელსაც უხელმძღვანელებს მეოთხე მოადგილე ან ფუნქციური ერთეულები გადანაწილდეს არსებულ მოადგილეებთან, რათა რექტორს გამოუნათავისუფლდეს რესურსი სტრატეგიულ ამოცანებზე კონცენტრაციის მიზნით;
- ვაკანსიების გამოცხადებამდე შემუშავდეს სტრუქტურული ერთეულის დეტალური დებულება, მომზადდეს სტარტეგიული დანიშნულების დოკუმენტი, ფორმირდეს ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა, გაიწეროს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რათა „საზღვაო სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციების ცენტრმა“ ეფექტურად შეასრულოს დანიშნულება;
- მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ 2020 წელს მიღებული ყველა გადაწყვეტილების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობების დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად;
- შემუშავებულ იქნას გამჭვირვალე მექანიზმი აკადემიური თავისუფლების პრინციპების დასაცავად უნივერსიტეტში.

რჩევები

- უმჯობესი იქნება, თუ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის ანალიზს ექნება ნარატივის სახეც;
- სასურველია, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი განხორციელების სიხშირე განისაზღვროს საჭიროებიდან გამომდინარე.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐

6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ლარისა პატარაია (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1. სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში გაცემული იყო სამი რეკომენდაცია. ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები თანმიმდევრულად და რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგები:

- უზრუნველყავით ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა ეფექტიანად და კოორდინირებულად განახორციელოს საკუთარი ფუნქციები.

უსდ-მ ამ რეკომენდაციის შესრულების თაობაზე წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ასახა რიგი ცვლილებები, რომელიც ამ რეკომენდაციის შესრულებას ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები შევიდა და განახლდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრუქტურა. ორგანიზაციული სტრუქტურა ოთხი დონის ერთეულისგან შედგება: მმართველი სუბიექტი, დამხმარე სტრუქტურული ერთეული, დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული. სტრუქტურაში შემავალი ერთეულები ადმინისტრაციული ან ფუნქციონალური კავშირებით არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

სტრუქტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ცვლილებაა ასახული: ცალკე დამოუკიდებელ ერთეულად გამოიყო საზღვაო სამეცნიერო კვლევითი ინოვაციების ცენტრი, რომელიც არ არის დაკავშირებული არც ერთ სხვა ერთეულთან, არ ექვემდებარება რომელიმე მმართველ რგოლს და არ არის იერარქიაში წარმოდგენილი. მონიტორინგის პროცესში ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ ეს სტრუქტურული ერთეული დაექვემდებარება პირდაპირ რექტორს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ რექტორის პირდაპირ დაქვემდებარებაში შევიდა დამატებით ერთი დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული.

სტრუქტურაში შეტანილი აღნიშნული ცვლილებები ნაწილობრივ ეხმიანება უსდ-ს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს: გააძლიეროს კვლევითი მიმართულება და შესაბამისად შექმნას პლათფორმა უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილების დასაინიცირებლად, თუმცა რეალურად გატარებული ღონისძიებები და უნივერსიტეტის მმართველი გუნდის მიერ ინტერვიუების დროს გაჟღერებული პოლიტიკა შესაბამისობაში არ მოდის ერთმანეთთან. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ითქვა, რომ უსდ მიიწსრაფვის დეცენტრალიზაციისკენ, სტრუქტურული ცვლილებების მიხედვით კი, რექტორს უფრო მეტი პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული გაუჩნდა, რაც მართვის პროცესს უფრო ართულებს და ბიუროკრატიულს ხდის. ამ გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა ის, რომ ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ერთეული რექტორის პირდაპირი დაქვემდებარების ქვეშ უნდა იყოს. თუმცა, ბუნდოვანია, დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული რა ტიპის პრიორიტეტი შეიძლება იყოს უსდ-სთვის რომ პირდაპირ რექტორის დაქვემდებარების ქვეშ განთავსდეს.

- უზრუნველყავით ყველა საკითხთან დაკავშირებით მართვის ორგანოებში დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება.

უსდ-ს მართავს რექტორი, სენატი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საიდანაც გადაწყვეტილების მიმღები და აღმასრულებელი არის რექტორი და სენატი. რექტორს პირდაპირ ექვემდებარება სამი მოადგილე და დამატებით 6 სტრუქტურული ერთეული. ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტილების პროცესში ჩართულია სხვადასხვა რგოლის თანამშრომელი და უმეტეს შემთხვევაში მათი მოსაზრებები არის გათვალისწინებული. უსდ-ს შემუშავებული აქვს ზედა რგოლისთვის ინფორმაციის მიღების გამართული სისტემა. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობას შესაძლებელია აფერხებდეს ორგანიზაციული დიზაინი. მაგ: ამ ეტაპზე რექტორს პირდაპირ ექვემდებარება 9 სტრუქტურული ერთეული და ამ პირობებში რთულდება ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება და ყველა დაქვემდებარებული ფუნქციონალური ერთეულისთვის თანაბარი რესურსების გამოყოფა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ რეკომენდაციაზე დაყრდნობით უსდ-მ გააართულა მენეჯმენტის კონტროლის მექანიზმები და დაამტკიცა რაპორტინგის პროცესი. აღნიშნული ერთის მხრივ შეიძლება შეფასდეს პოზიტიურად, რადგან გაძლიერებულია კონტროლის მექანიზმი და სწრაფად შეიძლება მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება, თუმცა ყოველთვიური ქვევიდან ზევით იერარქიული პარტოტინგის სისტემები ხშირ შემთხვევაში ამბაფრებს ბიუროკრატია და ზომაზე მეტი დრო და რესურსი იხარჯება ხარისხის მართვაზე და ნელდება ძირითადი მწარმოებლური პროცესები.

აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე ეხმიანება ქვემოთ მოცემულ ამ ქვესტანდარტის მესამე რეკომენდაციას ნაწილობრივ. -ჩამოაყალიბეთ თანამდებობრივი ინსტრუქციები ნათლად და უზრუნველყავით მათი პერსონალისთვის გაცნობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეკომენდაციის შესასრულებლად უსდ-მ გაატარა რიგი ღონისძიებები, რათა გაწერილი თანამდებობრივი ინსტრუქციები და უფლება-მოვალეობები შეთანხმებული ყოფილიყო თანამშრომლებთან, კონტროლის მექანიზმების გაძლიერება ექვემდებარება აყენებს მთლიანი პროცესის გამართულობას. კონტროლის მექანიზმებით გაჯერება შეიძლება გამოწვეული იყოს დასაქმებულების დაბალი კვალიფიკაციით. ამ შემთხვევაში უმჯობესია უსდ-მ გაძლიეროს ტალანტების ძიების, მოზიდვის და განვითარების მექანიზმები. ასევე ინტერვიუების დროს რამდენჯერმე გაჟღერდა, რომ ახალი სტრუქტურული ერთეულის „საზღვაო სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციების ცენტრის“ დებულება და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული გადაწყვეტები არ არის შემუშავებული. გამოცხადებული კონკურსი და არის მოლოდინი, რომ კონკურსის შედეგად აყვანილი კადრები თავად ჩამოაყალიბებენ ამ სტრუქტურული ერთეულის დიზაინს. აღნიშნული მიდგომა ექვემდებარება აყენებს უსდ-ს მიღებული გადაწყვეტილებების სიმყარეს და მიუთითებს მართვის კომპეტენციის სისუსტეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • ორგანიზაციული სტრუქტურა • უსდ-ს წესდება • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები • მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა • პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი; • პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • გაიმართოს ორგანიზაციული სტრუქტურა და გადაიხედოს ორგანიზაციული სტრუქტურის გენერალური მოდელი; • გადაიხედოს რექტორის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი ფუნქციონალური და სტრუქტურული ერთეულები და საჭიროების შემთხვევაში დაემატოს ახალი საკურატორო მიმართულება, რომელსაც უხელმძღვანელებს მეოთხე მოადგილე ან ფუნქციური ერთეულები გადანაწილდეს არსებულ მოადგილეებთან, რათა რექტორს გამოუნათავისუფდეს რესურსი სტრატეგიულ ამოცანებზე კონცენტრაციის მიზნით; • ვაკანსიების გამოცხადებამდე შემუშავდეს სტრუქტურული ერთეულის დეტალური დებულება, მომზადდეს სტრატეგიული დანიშნულების დოკუმენტი, ფორმირდეს ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა, გაიწეროს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რათა „საზღვაო სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციების ცენტრმა“ ეფექტურად შეასრულოს დანიშნულება.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქვემოთ წარმოდგენილია 2.2 სტანდარტის კომპონენტზე გაცემული რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი;

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის 30 ნოემბერს. ამ დოკუმენტის თანახმად ხდება ხარისხის უზრუნველყოფა სამი მიმართულებით: სწავლა-სწავლება და მომსახურება, კვლევითი საქმიანობა და ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების განხილვის და ინტერვიუების შედეგად გადამოწმდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობების შესრულების საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სტრუქტურულ ერთეულს ხარისხის უზრუნველყოფაზე გამოყოფილი/შეთავსებული ჰყავს პირი, რომელთა მიერ ხდება ანგაშგება წინასწარ განსაზღვრულ დროს. ბათუმის საზღვაო აკადემიამ წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის შეფასების და ანგარიშგების მომზადების გეგმა, საიდანაც ჩანს, შეფასების სახე და განხორციელების დრო.

- შემუშავებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის შესამოწმებლად იქნება დროული და ეფექტური;

უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2020 წლის შიდა აუდიტის დეტალური გეგმა, სადაც ჩანს რომელ სტრუქტურულ ერთეულს როდის ჩაუტარდება აუდიტი და ვისი ხელმძღვანელობით წარიმართება ეს პროცესი. ასევე, წარმოდგენილია წლიური სამოქმედო გეგმა, სადაც აქტივობების შესრულების დრო მითითებულია. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად კურატორი რექტორის მოადგილეების მიერ. საბოლოო ანგარიში წარედგინება რექტორს. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 30 ნოემბერს, უნივერსიტეტს საშუალება მისცემს პროცესებზე დაკვირვების რა შესაბამისი რეაგირების გზით ეფექტური გახადოს სტრატეგიული მიზნების მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით მექანიზმები და გეგმები წარმოდგენილია, ასევე წარმოდგენილია 5 თვის აქტივობების შეჯამება, ის ატარებს სტატისტიკურ ხასიათს და არ არის შესრულებული გეგმების ანალიზი

გაკეთებული ნარატივის სახით, რაც უფრო ნათელს გახდიდა, რა მიმართულებით აპირებს უნივერსიტეტი ამა თუ იმ პრობლემის აღმოფხვრას.

- თანამდებობრივ ინსტრუქციებს მიეთითოს დამტკიცების თარიღი;
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები, რომლებიც დათარიღებულია და ადმინისტრაციის მხრიდან ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ განხორციელდა დოკუმენტების გადახედვა და მათი დათარიღება. თუმცა ამჯერად უკვე უნივერსიტეტში ამოქმედებულია მონაცემთა ელექტრონული ოფისი და დოკუმენტები ავტომატურად თარიღდება.
- შემუშავებულ იქნას ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები პარტნიორ, ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელთან ერთად.

2020 წლის აგვისტოში უნივერსიტეტმა მიიღო აკრედიტაცია პლიმუტის და ფლენსბურგის პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე „საზღვაო ნავიგაცია“. 2024 წლამდე პერიოდში დაგეგმილია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაც.

- სამოქმედო გეგმაში, 2020 წლის ნაწილში, სადოქტორო პროგრამის შემუშავების პროცედურის შესრულების ვადები იქნას სწორად გაწერილი;
უნივერსიტეტმა განსაზღვრა კვლევების პრიორიტეტული მიმართულება და მიიღო გადაწყვეტილება შეიმუშაოს სადოქტორო პროგრამა „საზღვაო საქმე“, რომელსაც განხორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი სამივე ფაკულტეტი. წარმოდგენილია სადოქტორო პროგრამის შემუშავების სამოქმედო გეგმა.
- მოხდეს აკადემიის მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის სისტემის განვითარება;
უნივერსიტეტმა დაწერა მართვის ეფექტიანობის მიზნით მონიტორინგის სხვადასხვა მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა, რაც რიგ შემთხვევაში შესაძლოა მართლაც საჭირო იყოს, თუმცა ასეთი სიხშირით მონიტორინგი შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს.
- განხორციელდეს სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზი მათი ეფექტურობის დადგენის მიზნით
კვლევითი საქმიანობის სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც 2024 წლამდე პერიოდს მოიცავს, დაკონკრეტებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები. ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ გადამოწმდა რამდენად გამჭვირვალეა ეს მექანიზმები თანამშრომლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალი ფლობს ინფორმაციას შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების შესახებ და აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი არის გამჭვირვალე. ასევე, შემუშავებულია პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის წესი და შეფასების შედეგები ფაკულტეტების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფა;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასების და ანგარიშგების მომზადების კალენდარული გეგმა;
- შიდა აუდიტის ჩატარების კალენდარული გეგმა;
- სისტემური კვლევების კალენდარული გეგმა;
- წლიური სამოქმედო გეგმა;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამა: https://www.bsma.edu.ge/text_files/ge_file_1695_1.pdf
- კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა
- პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი;

-პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება; -უნივერსიტეტის ვებ გვერდი; -ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: • უმჯობესი იქნება, თუ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის ანალიზს ექნება ნარატივის სახეც; • სასურველია, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი განხორციელების სიხშირე განისაზღვროს საჭიროებიდან გამომდინარე.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქვემოთ წარმოდგენილია 2.3 ქვესტანდარტზე გაცემული რეკომენდაციები: - შემუშავდეს უნივერსიტეტში მეცადინეობის ჩატარების მონიტორინგის სპეციალური პროცედურები. უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც შესახებ ინფორმაცია დეტალურად იქნა აღწერილი ინტერვიუების დროს პერსონალის მხრიდან. მეცადინეობის მონიტორინგზე პასუხისმგებელია პირი, ვინც უზრუნველყოფს მეცადინეობის გაცდენის პროცესის აღდგენას. სისტემის მუშაობაზე შენიშვნებს ამუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. - მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობების დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად. 2020 წლის 3 სექტემბერს რექტორი ბრძანებით შექმნილმა კომისიამ თანამშრომელთან დისციპლინური საქმისწარმოების შესწავლის მიზნით ჩაატარა სხდომები. ექსპერტებმა გამოითხოვეს სხდომის ოქმები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა. ამ ოქმებიდან ჩანს, რომ კომისია განიხილავს საკითხებს, თუმცა უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვასთან დაკავშირებით, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ვაჟა ანანოძის მიმართ

მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის საკითხი. კომისიამ განიხილა მის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების საკითხი და გადასცა განსახილველად დამოუკიდებელ ექსპერტებს, თუმცა ამ ოქმებიდან ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი არაფერი იკვეთება.

- სისტემტურად ხდებოდა სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე. უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია. ყველა სტატიამ გაიარა შემოწმება პლაგიატზე ტურნიტინის პროგრამის გამოყენებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დინამიკა მზარდია.
- პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების პროცედურები იყოს გამჭვირვალე. შემუშავებულია პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი. იმისათვის, რომ ეს წესი გაზიარებულ იქნას როგორც პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისათვის, რატდება შესაბამისი ტრენინგები, რაც დასტურდება ინტერვიუების შედეგებითაც. უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ტურნიტინის კომპანიასთან შემდგომ 3000 ლიცენზიის შესყიდვის თაობაზე.
- შემუშავებულ იქნას ღია და გამჭვირვალე მექანიზმი პერსონალისა და სტუდენტების კონფერენციაზე გასაშვებად. შემუშავებულია სტუდენტური და სამეცნიერო კონკურენციის ჩატარების წესი, რომელიც არის გამჭვირვალე და ღია ყველა დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნული წესის თანახმად გაიმართა 2020 წლის 27-28 ნოემბრის სტუდენტთა და სამეცნიერო კონფერენცია. ასევე, შემუშავდა საერთაშორისო კონფერენციებზე პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი.
- შემუშავებულ იქნას გამჭვირვალე მექანიზმი აკადემიური თავისუფლების პრინციპების დასაცავად უნივერსიტეტში. თვითშეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ამ რეკომენდაციაზე განმარტებითი ნაწილი, შესაბამისად, არ არის წამოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი/ები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შიგნით იკითხება პერსონალის აკადემიური თავისუფლების დამცავი საკითხები, თუმცა ეს უნდა იყოს დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მექანიზმი. გასაუბრებისას დადასტურდა აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისიტემა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმა;
- პლაგიატის პრევენციის და რეაგირების წესი;
- ტურნიტინის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება;
- ეთიკის კომისიის ოქმები;
- საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი;
- სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი;
- გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

• მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ 2020 წელს მიღებული ყველა გადაწყვეტილების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობების დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად; • შემუშავებულ იქნას გამჭვირვალე მექანიზმი აკადემიური თავისუფლების პრინციპების დასაცავად უნივერსიტეტში.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან